



# დღეგადაღი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი \* №5 (60) 28 იანვარი 2011 წელი \*


## ბეჰროუზ გჰარიბჰაური მასტერკლასი

ამა წლის 27 იანვრიდან 1 თებერვლამდე საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით სტუმრობს ირანის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი ბეჰროუზ გჰარიბჰაური, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ატარებს მასტერკლასს. მასტერკლასი იმართება მარჯანიშვილის თეატრის მცირე სცენაზე 27 იანვრიდან 1 თებერვლამდე 12.00 საათიდან 16 საათამდე.

დიდი მადლობა მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობას ურთიერთთანამშრომლობისთვის.


2003 წელს ცნობილმა ირანელმა რეჟისორმა ბეჰროუზ გჰარიბჰაურმა ირანული თოჯინების თეატრი დააარსა. მან კარგად გაიაზრა ირანელი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა: სპარსული პოეზია, ნაციონალურ-რელიგიური ოპერა - „ტაზიეჰი“ და ირანელთა დიდი ინტერესი თოჯინური წარმოდგენების მიმართ, შემოიკრიბა ენთუზიასტები, აალორძინა ნაციონალური ოპერა და ფაქტობრივად, მეორე სიცოცხლე აჩუქა ამ დიდ ხელოვნებას.

გჰარიბჰაურმა მსოფლიოს თეატრალური გამოცდილებისა და მრავალმხრივი განათლების (თეატრის, კინოსა და ტელევიზიის სფეროებში) წყალობით შექმნა ნაციონალური ოპერა, რომელიც დაფუძნებულია არა რელიგიურ ენაზე, არამედ წარმოადგენს დიალექტთა სინთეზს და უფრო გასაგებია დღევანდელი მაყურებლისათვის.



დღეისათვის თოჯინების თეატრის წარმოდგენებს უკვე თავისი ერთგული მაყურებელი ჰყავს, მათ შორის მოზარდები.

თეატრმა თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე მოიარა: ლონდონი, რომი, ტურინი, პრაღა, დუბაი და დამსახურებულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.



## შალვა განველიას 80 წლის იუბილე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 19 იანვარს ცნობილი რეჟისორის, ბატონ შალვა განველიას 80 წლის იუბილე აღინიშნა.

ეს ღირშესანიშნავი თარიღი, ბატონ შალვას მისმა კოლეგებმა, გამოჩენილმა თეატრმცოდნეებმა, რეჟისორებმა და მსახიობებმა მიულოცეს. მიულოცეს ასევე მისმა ყოფილმა სტუდენტებმა, რომელთა დიდი ნაწილი დღევანდელი თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობია, ზოგიც ტელე სივრცეში მოღვაწეობს.

ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „მუმუშა“ და ამონარიდები რეჟისორის ყველაზე ცნობილი და მაყურებლისთვის საყვარელი სპექტაკლებიდან.

თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი ბატონმა შალვამ 1957 წელს დაამთავრა. დღევანდელ დღეს, იგი გახლავთ ემერიტუსი, რომელიც ხელშეკრულებით ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროგრამას მსახიობის ოსტატობასა და რეჟისურაში.



დამტკიცებულია სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის  
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს მიერ  
24.01.2011 წელი

## ეპერიტუსის წოდების მინიჭების წესი

### §1. რეგულირების სფერო

(1) ეს წესი აწესრიგებს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორისთვის ეპერიტუსის წოდების მინიჭების პროცედურულ და ორგანიზაციულ საკითხებს.

(2) წესი შემუშავებულია „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე.

### §2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებსა და ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. აკადემიური გამოცდილება — უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის წარმართვა ან/და კვლევაში მონაწილეობა. აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნით სწავლება ან/და კვლევა (სწავლა დოქტორანტურაში და ა. შ.) არ ჩაითვლება აკადემიური გამოცდილების საერთო ვადაში;

2. დაინტერესებული პირი — განმცხადებელი, რომელსაც სურს ეპერიტუსის წოდების მოპოვება;

3. ეპერიტუსი — აკადემიური წოდება, რომელიც ენიჭება საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის;

4. უნივერსიტეტი — სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

### §3. მოთხოვნები

(1) ეპერიტუსის წოდების მაძიებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. განცხადების წარდგენის დროისთვის უნივერსიტეტში ეკავოს სრული პროფესორის თანამდებობა და მიღწეულ იყოს 65 წლის ასაკს;

2. ჰქონდეს უნივერსიტეტში სრულ პროფესორად აკადემიური მოღვაწეობის 7-წლიანი გამოცდილება;

3. იყოს საქართველოს მოქალაქე.

(2) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის ან/და 65 წელს მიღწეული პირის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ გათავისუფლების შემთხვევაში, ეპერიტუსის წოდების მინიჭება განიხილება აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე ეპერიტუსის წოდების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით.

### §4. განცხადების შინაარსი და თანდართული დოკუმენტები

(1) ეპერიტუსის წოდების მინიჭების მოთხოვნით დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს.

(2) განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დასახელება;
2. დაინტერესებული პირის სახელი და გვარი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია;
3. მოთხოვნა ეპერიტუსის წოდების მინიჭებაზე;
4. თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

(3) განცხადებას უნდა დაერთოს:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი (ან მასთან გათანაბრებული) დოკუმენტის ასლი;

3. უნივერსიტეტის სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4. აკადემიური მოღვაწეობის ხანგრძლივობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. ინფორმაცია დაინტერესებული პირის აკადემიურ მოღვაწეობაზე (გამოცემული ნაშრომების დასახელება, პროფესიულ კონფერენციებში/ტრენინგებში მონაწილეობა, მოპოვებული აკადემიური წოდებები და ა. შ.).

(4) უნივერსიტეტს უფლება აქვს გადაამოწმოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის სისწორე.

### §5. განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

(1) დაინტერესებული პირის განცხადებას ეპერიტუსის წოდების მოპოვებაზე განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

(2) განცხადების განხილვის ვადა 1 თვეა. გადაწყვეტილების მიღების გარეშე ამ ვადის გასვლა ნიშნავს ეპერიტუსის წოდების მინიჭებაზე უარს.

(3) განცხადების განხილვისას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აფასებს დაინტერესებული პირის აკადემიური გამოცდილების მნიშვნელობას მისი პროფესიული აღიარებისათვის.

(4) აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებამდე მოიწვიოს დაინტერესებული პირი, მიიღოს მისგან განმარტებები წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

(5) ეპერიტუსის წოდების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის გადაწყვეტილება იღებს აკადემიური საბჭო წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 მხარდაჭერით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

### §6. გასაჩივრების უფლება

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

### §7. აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება

ეპერიტუსის წოდების მინიჭება იწვევს ეპერიტუსის წოდების მქონე პირის უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლებას.

### §8. აკადემიური თანამდებობის დაკავება

(1) ეპერიტუსის წოდების მქონე პირს, უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, აკადემიური თანამდებობაზე ყოფნის ვადით შეუჩერდება ეპერიტუსის საკომპენსაციო თანხის მიღება.

(2) ეპერიტუსის წოდების მქონე პირს სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში შეუწყდება ეპერიტუსის წოდება და ეპერიტუსის საკომპენსაციო თანხის გადახდა.

### §9. ძალაში შესვლა

ეს წესი ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.





# „ჯერ დაიხოსნან, მერა იქორწინას“

რეჟისორმა გიორგი მარგველაშვილმა თუმანიშვილის სცენაზე გააცოცხლა რაფიელ ერისთავის ორ მოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოსნან, მერე იქორწინას“, რომლის პრემიერაც შედგა 1995 წლის 15 სექტემბერს.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის ასაკი 15 წელზე მეტს ითვლის, დღესაც დარბაზი გადავსებული იყო და ყველა მოუთმენლად ელოდა დასაწყისს. მაყურებელთა უმრავლესობას ბავშვები შეადგენდნენ. წარმოდგენის მსვლელობისას ფეხზე ვიდექი, თუმცა, მაინც არ ვწუხდი და სიამოვნებით ვათვალისწინებდი სცენას: შთამბეჭდავი სცენოგრაფია, ფერადი დეკორაციები, ლამაზად შეღებილი სახლის აივნები პანორამად წარმოდგენილი, რომელიც სცენის სიღრმესა და გვერდითა კედლებზე აღიქმებოდა, გვაბრუნებდა მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ქუჩებში. სცენის წინა, მარჯვენა ნაწილზე ბალიშები ეყარა, ასევე იყო მარცხენა მხარესაც დამატებული დიდი სკივრი და აღმართული ძელი, რომელიც დახუნძილი იყო ფერად-ფერადი ყურძნით. სცენაზე პირდაპირ დარბაზიდან ადიოდა კიბეები. ისეთ ილუზიას ქმნიდა, თითქოსდა ქუჩიდან პირდაპირ სახლში შედიოდა. მარჯვნივ გახლდათ ქვიშაქვი ელისაბედ ბუღბუღაძის სახლი, რომლის აღქმაც პირდაპირ აივნით იყო შესაძლებელი. ეზოში თეთრი „სკამიკა“ იდგა, რომლის ფეხებზეც კარგად შეავამჩნევდით ამოჭრილ გულებს. აივნის წინ საკიდზე ეკიდა ძველი თაფლისფერი, ალაგ-ალაგ ჩრჩილისაგან შექმნილი ჩოხა. რაც შეეხება სცენის მარცხენა მხარეს, იქ გახლდათ ვაჭარ, იოსებ შატაბუღოვის სახლი, აივნით. იქაც ეზოში იდგა მუქი გრძელი სკამი. რაც შეეხება მწვანე, ნახევარ ფრთიან ჭიშკარს, როგორც ეტყობოდა ორივე სახლისთვის საერთო იყო ქუჩაში მოსახვედრად. მასზე ზარი ეკიდა, რომელიც თავისი წკარუნით, არ გამოგაპარებდა ეზოში შემსვლელ-გამსვლელს. დეკორაციის კიდევ ერთი დეტალი იყო სცენის წინა ნაწილში დაკიდებული ფარდა, დასაწყისში განუღო. ისიც, როგორც სხვა დამამშვენებლები, ფერადად იყო შეღებილი ძველი თბილისის ხედებით. სპექტაკლის დაწყებისთანავე გამოდის ბუღბუღაძის მსახური და ფარდას წევს, დაწყების ნიშნად. მას პიესაში ივანე ჰქვია, ხოლო რეჟისორს მისთვის სახელი შეულამაზებია და ივანიკა უფრო მოუხდენია. ეს გახლავთ მსახიობი გიორგი ყიფშიძე, გამოწყობილი მწვანე ახალუხში, წელზე შემორტყმული წვრილი ქამრითა და „აზიურებით“. თმა შუაზე გადაყოფილი და გადავარცხნილი, ამას დამატებული წვრილი დაწკეპილი უღვაშები. იგი ენერგიულად შემოიჭრება სცენაზე და ასევე ენერგიულად თამაშობს წარმოდგენის ბოლომდე. ივანიკა „გულითადად“ ასრულებს ბატონის დავალებულ საქმეს. მთელი დღის განმავლობაში საგულდაგულოდ წმენდს ჩამოკიდებულ ჩოხას, მტვერი რომ არ დაჩნდეს. ეტყობა პატრონისათვის მნიშვნელოვანი ნივთია, რადგან ასე გაუთავებლად ასუფთავებს. გიორგი ყიფშიძე ბატონს პირნათლად ემსახურება, თუმცა თავისი მოქმედებებით ხშირადაც უშლის ნერვებს. ასეთი საქციელით კომიკურ სიტუაციებსაც ქმნის და დარბაზში მხიარულებაც არ აყოვნებს. ივანიკა ერთი ტიპური იმერელი ბიჭია, უცხოეთიდან ახლახანს ჩამოსული. იგი იქაურ სიტკბობებს იხსენებს, თუმცა არც აქ კარგავს უქმად დროს და ჰყვარობს თავისი მეზობელი ვაჭრის მოახლეს, პიესაში მართას, ხოლო სპექტაკლში მონავარდისას. მას მსახიობი ქეთევან ასათიანი თამაშობს, გამოწყობილი წითელ ატლასის კაბაში, ზედ შემორტყმუ-

ლი თეთრი წინსაფრით და ფეხზე ჭრელი წინდებით. თმა მასაც შუაზე აქვს გადაყოფილი, აქეთ-იქეთ ნანნავები, ზედ წითელ ლენტეხებზემული. მონავარდისა ცდილობს კოსტიას თავისებურად გაეპრანჭოს, თან ჩხუბსა და პანდურებსაც არ აკლებს. რა ქნას?! ასეთი სიყვარული შეუძლია. ძალზე ზარმაცი მოახლეა და ყველაფერს ბუზღუნ-ბუზღუნით აკეთებს, ამიტომ თავის ბატონს, ოსეფ შატაბუღოვისაგან ჩხუბი არც მას აკლია. ყველა-სათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მსახიობი გიორგი პიპინაშვილი კვლავაც შეუდარებელია. სცენაზე მისი გამოჩენა ყველას ახარებს და ამხიარულებს. მისი პერსონაჟი, ტიპური ვაჭარია, რომელიც ყოველ გროშს აკონტროლებს და დიდადაც უფრთხილდება. ოსეფა თვლის, რომ თავად თუ არ განკარგა ქონება, მისი შვილი სულ დაანიავეებს, რადგანაც ახალგაზრდებს „ქარები უქრით“ და არ იციან ფულის ყადრი. მსახიობი კვლავაც შესანიშნავ ფორმაშია და შესანიშნავად ართმევს თავს ე. წ. ექსტრემალურ სიტუაციებს (ერთ-ერთ მოქმედებაში, მსახიობი გიორგი პიპინაშვილი ოსტატურად ახტება და თავში მოექცევა ძელს). მისი „საფრმო“ „ვაი-ვაი“ ყველას ძალიან უყვარს და ოსეფაც არ აყოვნებს, ხშირადაც იყენებს, რათა ისევე და ისევე დაიპყროს მაყურებლის გულები. ჩაცმულობაზე და გრიმზეც უნდა ითქვას, რომ იდეალურად აქვს მორგებული და გათავისებულები. რაც, შეხება მის ვაჟს, იგი სახელმწიფო სამსახურში იმყოფება და ხშირადაც სიამაყით ახსენებს თავის ჩინს. სერგო, ყველა-სათვის ცნობილი ახალგაზრდა მსახიობი, ვანიკო თარხნიშვილია, სპექტაკლის განმავლობაში, გაშარჟების მიზნით, სირგოსაც უწოდებენ ხოლმე. ეტრფის მეზობელ ბუღბუღაძის ასულ მაშეკოს. მაშეკო მისი საცოლეთა, თუმცა ქორწილი აყოვნებს სერგოს ვალების გამო. მამამისი არც აპირებს ვაჟის ვალების გადახდას. ამბობს, რომ „მურაბა ვინც ჭამა, არაყიც მანვე დალიოს“, ამიტომაც ჭიანჭურდება შეყვარებულების შეუღლება. სერგო ცდილობს სასიდედრო ბატონი ელისაბედის გული მოიგოს, რომელსაც მსახიობი წინელი ჭანკვეტაძე ანსახიერებს. მასთან ხშირად ჩხუბიც კი მოსდის; ხანაც მისი გულის მოგებას ახერხებს: ერთად მღერიან და ცეკვავენ კიდევ. თუმცა, ბატონ ლიზის მაინც არ ავინყდება მისი ვალები. აქ, კი ძალზედ ცხარდება სერგო და მას უამრავი უკადრებელით ამკობს. მსახიობი წინელი ჭანკვეტაძე საშინლად ცხარობს და პიტნის „კაპლს“ ითხოვს, რომელსაც ამ ამბავს შემოსწრებული ოსეფა დალევს. სპექტაკლის განვითარებიდან იმასაც ვიგებთ, რომ ახალგაზრდობაში ელისაბედი და ოსეფაც ეტრფოდნენ ერთმანეთს. ქალბატონ წინელი ჭანკვეტაძეს ისეთი კოსტიუმი და გრიმი აქვს მორგებული, რომ ძალიან ბევრი ფიქრი დაგჭირდება მსახიობის ამოსაცნობად, თუმცა უშედეგოდ. ძალზე სასაცილო სანახავია ჩიხტიკოპში, კეხიანი ცხვირით, განიერი კაბით, რომელიც გვერდებშია გასული. თუმცა ეს მოძრაობაში ხელს სულაც არ უშლის, პირიქით მშვენივრადაც ირგებს. კომიკური ხერხები ხმაშიც გამოიხატება. დაქვრივებული, მუდამ ეფერება და მისტირის თავის ქმარს, რომლის სურათიც დასწყისშივე შემოაქვს და აივნის მოაჯირზე დებს. გაბრაზებული მუდამ მას შესჩივლებს ხოლმე და ელაპარაკება. მთელი სპექტაკლის განმავლობაში გაიძახის, რომ შვილებს მისი სიკვდილი უნდათ. ვაჟი აპოლონი ოჯახის ქონებას ბანქოს თამაშში ანიავებს. ხშირად არ არის სახლში და როდესაც მიდის, მაშინაც მთვრალია. ხოლო ქალიშვილი, მაშეკო, მსახიობი ეკა ანდრონიკაშ-

ვილი ეტრფის მოვალეობა კიდებულ სერგოს. მაშეკო ძალიან ჰაეროვანი გოგოა და მსახიობსაც შესანიშნავად აქვს გააზრებული და მორგებული თავისი როლი. ხმაც კი ზუსტად ჯდება მის ხასიათში. მაშეკოსთვის სამყარო ჯერ ისე ვარდისფერ ფერებშია მოწყობილი. მის წარმოსახვაში პეპლები დაფარფატებენ და ჩიტები ჭიკჭიკებენ. თითქოსდა ხასიათიდან გამომდინარეა, რომ მას სცენაზე გამოჩენისთანავე გალია შემოაქვს, რომელშიც ლამაზი, ფერადი ჩიტი ზის. მაშეკოს „ჰაეროვნად“ უყვარს სერგო, სულ არ აინტერესებს მისი ქონება და ნება რომ ჰქონდეს ნებისმიერ წუთს გაყვებოდა ცოლად, თუმცა დედიკოც ძალიან უყვარს და არ სურს აწყენინოს; ამიტომ, ასე მოუთმენლად ელოდება მისგან ნებართვას. მაგრამ, მაშეკოს თავისი ძმა დიდ სამსახურს გაუწევს. აპოლონი, მსახიობი გია აბესალაშვილი, როგორც მას ოსეფა უწოდებს დიდი „დარდი-მანდი“ ვინმე ბრძანდება. ერთი შეხედვისთანავე მიხვდები, რომ სულ არ ანალვლებს ამქვეყნად არაფერი და თავის გასამხიარულებლად რას აღარ იგონებს. მისთვის „მიუღებელია“ ჩხუბი და დავიდარაბა. აპოლონისათვის მთავარი ხომ გართობა, სმა და ქალებია. ამიტომ ხალხიც რომ გაამხიარულოს მოიგონებს ერთ „კარგ“ ხრიკს: იგი ოსეფას მოატყუებს, რომ მაშეკო გარდაიცვალა, ხოლო ელისაბედს ეტყვის, რომ სერგო დარდმა შეინირა. ამ ყველაფერს ისე ოსტატურად გაითამაშებს, ეტყვას კი ვერ შეიტანს ვერავინ. აპოლონი ამით ძალიან გაერთობა და მაშეკო და სერგოც დაქორწინდებიან. მისმა ტყუილმა, როგორც ოსეფა იტყვის დასასრულს, 200 თუმანი დააკარგვინა. თუმცა აპოლონი ხომ კარგად იცინა.

რაც შეეხება პიესის მიმართებას სპექტაკლთან, რეჟისორი, ზოგადად, რა თქმა უნდა, ნაწარმოებს მიყვება, თუმცა ტექსტის ნაწილი მოქმედებებით აქვს შეცვლილი. მიმანია, რომ სწორედ ასეთმა გადანყვებამ გახადა წარმოდგენა ნებისიერი თაობისთვის ასეთი საყვარელი და მისაღები. იგი არ არის დროში განუღილი და მაყურებლისთვისაც არა თუ დამლელი, არამედ სასიამოვნო სანახავია. დასაწყისში აღვნიშნე, რომ ფეხზე ვიდექი მსვლელობისას და ერთი წამითაც არ მიგვრძნია დაღლა. ისე ჩამითრია და გავმხიარულდი, რომ თავიდან კიდევ დიდი სიამოვნებით ვუყურებდი. შესანიშნავია მსახიობების ერთობლიობა, რომლებიც ძალზე შეწყობილად თამაშობდნენ. სპექტაკლში რეჟისორისეულს უამრავს ამოიცნობდი და მისი ჩანაფიქრიც ყველა-სათვის გასაგები იყო. ეს ძალიან სასიამოვნო ფაქტია. რეჟისორს მოქმედებების დროს შემოყვანილი ყავს პიესისაგან განსხვავებული პერსონაჟები: მეზობელი ქალი ნინო ჩხეიძე, მეზოვე გუგა კახიანი, სტუმრები — ზურაბ გენაძე და ნანუკა ლითანიშვილი. სპექტაკლში ყველა დეტალი, ზედმინევით არის გათვლილი, არაფერია ზედმეტი. რაც შეეხება მუსიკას, იგი ასევე კარგად არის შერჩეული და იმდროინდელ ყოფასთან გვაახლოებს.

სპექტაკლს კვლავ ივანიკა ასრულებს: მსახიობი გიორგი ყიფშიძე ფარდას „ხურავს“ და მაყურებელიც ემშვიდობება მსახიობებს იმ იმედით, რომ მათ კიდევ მრავალჯერ იხილავს სცენაზე.

რეჟისორთან ერთად ვოდევილზე იმუშავა შესანიშნავმა ჯგუფმა: მხატვარმა ნინო ჩიტაიშვილმა, კომპოზიტორმა ნინო ჯანჯღავამ, ქორეოგრაფმა ინგა თევზაძემ და ტექნიკურმა რეჟისორმა ხათუნა ჯამათაშვილმა.

**ნათია ფოთოლაშვილი**  
**თეატრმცოდნეობის III კურსი**  
**პედაგოგი პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი**





# „გაიღიმათ, რიბი გამოფრინდება!“

ამას წინათ, მქონდა ბედნიერება მენახა დრამის რეჟისურაში დეპიუტანტი რეჟისორის სპექტაკლი და მას შემდეგ ვფიქრობდი, რომ მეორედ ამ დადგმას აღარასოდეს ვნახავდი. სპექტაკლმა დამთრგუნველი შტაბეჭდილება დატოვა თავისი რეჟისურით, დრამატურგიითა და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პრობლემის არასრულფასოვანი წარმოდგინებით. თუმცა მოგეხსენებათ „კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდა“ და 17 დეკემბერს ისევ ექსპერიმენტული სცენის დარბაზში ამოვყავი თავი, კალმითა და პატარა ნივთებით ხელში. ვიჯექი და ვაკვირდებოდი დარბაზში მსხდომთ. იმ დღეს შეკრებილი აუდიტორიის უმეტესობას ახალგაზრდები შეადგენდნენ. სპექტაკლის დაწყებამდე ზოგი იცინოდა, ზოგი მობილურზე ლაპარაკობდა, ზოგიც დეკორაციას აკვირდებოდა. სცენის მარცხნივ იდგა სკამი. შუაში, ოდნავ მარჯვნივ, გინეკოლოგის შემზარავი მაგიდა, ხოლო მარჯვნივ, კედელზე მიყუდებულ კიბეზე სპექტაკლის მთელი მიმდინარეობის მანძილზე იჯდა მთხრობელი – ეკა მოლოდინაშვილი, იგივე ლიზი, ისეთი გაუმართავი მეტყველებით, რომ წინა რიგებში მსხდომთათვისაც კი მხოლოდ სანახევროდ იყო შესაძლებელი ტექსტის გაგება: მაყურებელს თავად უნდა წარმოედგინა თუ ვინ რას ამბობდა. ეს ცოდვა კი უმეტესწილად ბატონი რეჟისორის კისერზეა, ისევე, როგორც სხვა მრავალი შეცდომა და რამდენიმე მიგნებაც. ერთადერთი რაც მომეწონა იყო ის, რომ გინეკოლოგიურ მაგიდას ათასგვარი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, ხან მაგიდა იყო, ხან უბრალო სავარძელი, ხან სანოლი, ხანაც გინეკოლოგიური სავარძელი... ეს ცოდვის მაგიდა კი მთავარ და მეტად საჭირო ატრიბუტს შეადგენდა მოქმედი პერსონაჟებისთვის. მაღლა, ჩამოკიდებული იყო ჩამოხრჩობილი ადამიანის ფიტული, რომელსაც სპექტაკლში მხოლოდ ორჯერ მიენიჭა გარკვეული მნიშვნელობა.

დრამატურგი და რეჟისორი გიო მგელაძეა, რომლისთვისაც ეს დადგმა სადებიუტოა, პროფესიით კინორეჟისორია, რაც ძალიან მძაფრად დაეტყო სპექტაკლის მთლიან მოქმედებას.

პიესის გმირებს ძალიან უცნაური და არატრადიციული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. სცენაზე გამოდის ლიოვა (დათუნა გოცირიძე), რომელიც სპექტაკლს მარადიური ქართველების დედის გინებით იწყებს, ეს ყველაფერი კი აუდიტორიაში, ხშირ შემთხვევაში, აღფრთოვანებს ინტერესს. ამის შემდეგ მთხრობელი ლიზი იწყებს საკუთარი ისტორიის მოყოლას: იგი 17 წლისაა და ფეხმძიმეა, თუმცა დაზუსტებით არ იცის ვისგან, რადგან მას სამ კაცთან ერთდროულად ჰქონდა ურთიერთობა. პარალელურად ვეცნობით ტროს:

ლიოვას, ქეთათოს (ქეთი ხიტირი) და ქეთუთას (რუსუდან მაყაშვილი), მათ იაფფასიან ეროტიულ ცხოვრებასა და ლიოვას ზედმეტად ექსცენტრულ, გზაბნეულ და ცინიზმით გაჯერებულ პიროვნებას, რომელსაც ერთმანეთზე შეყვარებული გოგონები ველარ უძლებენ და მიდიან მისგან. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობთა ჯგუფში უმეტესობას მეტყველების პრობლემა აქვს, რაც მაყურებლისთვის უდიდეს დისკომფორტს ქმნის და ამით კიდევ უფრო აკინებებს, ჩემი აზრით სპექტაკლის ისედაც საეჭვო ხარისხს.

აღსანიშნავია ასევე, რომ ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლა საკმაოდ არალოგიკურად ხდებოდა. ჩემი აზრით რთულია კინორეჟისორისთვის თეატრის სპეციფიკასა და ენის ფლობის მიღწევა. სპექტაკლის მიმდინარეობიდან ამოვარდნილი მეჩვენა მაყურებლისადმი გელას (გოგა ბარბაქაძე) წარდგენა, რომლის მონოდებაც, როგორც აღმოჩნდა, აბორტის კეთება ყოფილა... სხვა საქმეა, თუ როგორი ხერხით გვაცნობს რეჟისორი გულმონყაღე გელას, რომელიც ყოველი აბორტიდან 20 დოლარს დებს, რომ უპატრონო ბავშვებს შეენიოს. გელას, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას ჩადის, წარგვიდგენს, ბრიყვი პოლიციელი (ირაკლი სანაია), რომელიც მის სადღეგრძელოს სვამს და ხოტბას ასხამს მის ზემოაღებულ პიროვნებას. აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლში ირაკლი სანაია, მხოლოდ ერთხელ ჩნდება და ისიც საკმაოდ გასაგები მისიით.

დღეს ალბათ წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული დრამატურგია ქუჩური ცხოვრებისა და ნარკომანიის თემატიკის გარეშე (რაც დღევანდელი ცხოვრებითაა გამოწვეული). არც გიო მგელაძემ დაარღვია ტრადიცია და ის, რაც უკვე ათასჯერ გვაქვს ნახაბი კიდევ ერთხელ გვაჩვენა პრინციპით: „განმეორება ცოდვის დედა“. თუმცა ერთ-ერთ სცენაში, როდესაც სამი ნარკომანი ძმაკაცი სვამს, იკვებება ახალი თემა. აი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ პასუხი კითხვაზე, რომელიც სპექტაკლის დასაწყისშივე იბადება. ერთ-ერთი ნარკომანის, პრაკახას (ზუკა პაპუაშვილი), ძმაკაცი სვამს აფხაზეთში დაღუპული ბიჭების სადღეგრძელოს და ამბობს, რომ ეს ყველაფერი რაც მოხდა, ხდება იმისთვის რომ საქართველო გაბრწყინდეს. ზემოთხსენებული ლიოვა სანაიასადმივე აზრზეა: საქართველო გაბრწყინებას არ იმსახურებს, რადგანაც ქართველები მარადიორები და განმკითხავები არიან, უფალი მხოლოდ მაშინ ახსენდება, როცა ძალიან უჭირთ და გამოსავალს ვეღარ პოულობენ. საინტერესოა, როგორ იქცევა თავად ამ სიტყვების პატრონი, როცა სულ მარტო რჩება?! თვითონაც სწორედ მა-

შინ P ხსენებს ღმერთს, როცა ყველაზე მეტად გაუჭირდება... მთელ სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევს ქართველების, როგორც მარადიორების გინება, თვითონ კი ყველაზე დიდი მარადიორია: მთელი მოქმედება გოლფის ჯოხით ჩნდება სცენაზე, ეს ჯოხი კი ხან მობილურია, ხან უბრალოდ ყავარჯენი და სხვა ათასი რამ...

სპექტაკლის ერთ-ერთი გამონათება დავით პაპუაშვილია – მოხუცი პროფესორის როლში, იგი თავს იჩენს მაღალი სამსახიობო ოსტატობითა და მკაფიო მეტყველებით გამოირჩევა. პროფესორი და ტრადიციების მოყვარული მამა არაერთხელ ცდის ნარკომანი შვილის დახმარებას პრობლემის გადალახვაში. თუმცა საკუთარი შვილისა და მისი მეგობრის (ზაზა ბარათაშვილი) დიალოგის მოსმენის შემდეგ, როდესაც პრაკახა (ზუკა პაპუაშვილი) ძალიან მოღურად, საკუთარი გარდაცვლილი დედის გინებით დაიქანდის, მოხუცი მამა კარგავს აზროვნების უნარს და მხოლოდ ეს სიტყვები ჩაესის ყურში. ყოველივე ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ იგი თავს იხრჩობს... ყველაზე საინტერესო კი თურმე, ჯერ ისევ წინ გველის, პრაკახა საკუთარი ჩამოხრჩობილი მამის დანახვის შემდეგ, მას ზუსტად იგივე სიტყვებით დაიტირებს, როგორც გარდაცვლილ დედას.

სპექტაკლის ფინალში გვხვდება ერთი მეტად „დამაფიქრებელი“ ალეგორია... ლიზი, რომელიც ბავშვს ელოდება, ცისფერ ბუმბუს აჩენს, რომელსაც ნაგვის ურნაში ჩააგდებს და რიგრიგობით ატარებს სამი შესაძლო მამა და დედა... ბოლოს ნაგვის ურნას თავს ხდის ლიზი და ბუმბუტი მიფრინავს ცაში. ალბათ დამეთანხმება მკითხველი, რომ ძნელია მიხვდე, თუ რისი თქმა სურს ამით რეჟისორს. რა არის ეს? ალბათ არააოზაბან სულაც არაფერი, არაფრისგან ნაშობი არაფერი და ქვეცნობიერად ვუბრუნდები სპექტაკლის სათაურს, „გაიღიმათ, რიბი გამოფრინდება!“... დიას, გავიღიმეთ, ძალდატანებით, მაგრამ მაინც გავიღიმეთ და აჰა იგი, ჩიტოც – ქართველებო, თქვენი დედაც!

სპექტაკლი იმდენად „რთული და ორიგინალური“ თემებითა და სიმბოლოებითაა გაჯერებული, რომ ალბათ მაყურებელმა „მრავალჯერ“ უნდა ნახოს, რათა „როგორმე ჩასწვდეს“ სპექტაკლის არსს. მე კი ამჟამად, როგორც უბრალო მაყურებელი, იძულებული ვარ ვუყურო ამ რეჟისორისავე საყვარელი სიტყვებით რომ ვთქვათ „უროდობა“ და დაველოდო მის შემდეგ სპექტაკლს, რომელიც იმედი მაქვს უკეთესი იქნება.

ანა ჭაბაშვილი  
თეატრმცოდნეობა III კურსი  
პედაგოგი პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი

# „გაიღიმათ, რიბი გამოფრინდება!“

## „16+“

17 დეკემბერს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე პუბლიკამ გიო მგელაძის პიესა „გაიღიმათ რიბი გამოფრინდება“ მისივე რეჟისურით იხილა. დეკორაცია მინიმალისტურია, სპექტაკლზე მისულ მაყურებელს, პირველი, რაც თვალში ხვდება სამშობიარო მაგიდაა, რომელიც სცენის ცენტრშია განთავსებული. მარჯვენა კუთხეში დგას გრძელი შავი სკამი, რომელზედაც დევს ცილინდრი და სამოგზაურო ჩანთა, ხოლო მარცხნივ კედელზე რკინის კიბეებია, რომლის საფეხურების უკანაც ამოფარებულია გორგოლაჭებიანი ნაგვის ყუთი. კიბის გვერდზე დგას ჭერამდე აწვდენილი შავი ბოძი. სცენის სიღრმეში ჭერზე თოკით ჩამოხრჩობილი ადამიანის ფიტულია და ასევე დატოვებული კარის ჭრილი, რომელიც გამიზნულია მსახიობების შემოსასვლელად. თითოეული ეს დეტალი თუ ნივთი სპექტაკლის მსვლელობისას გარკვეულ ფუნქციასა და დატვირთვას იძენს. ასე, რომ რეჟისორმა არ გაგვანებებია დეკორაციით და მცირე დროში შეეცადა, მისი სათქმელი, თუ ნუხილი მიეტანა მაყურებელამდე და მარტივი ენით გადმოეცა ყოველდღიური ქართული რეალობა.

„გათხოვთ გამორთოთ მობილური ტელეფონები, ვინაიდან მათი მუშაობა ხელს უშლის სპექტაკლის მსვლელობას“, მეორედ გაიხუტა ამ ფრაზამ დარბაზში, ხალხის ფუსფუსი სიბნელემ შთანთქა და სპექტაკლიც

დაიწყო. ეკა მოლოდინაშვილი, ქეთი ხიტირი, რუსუდან მაყაშვილი, დათო გოცირიძე, ზუკა პაპუაშვილი, დათო პაპუაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ირაკლი სანაია, ზაზა ბარათაშვილი, — ეს იმ მსახიობების ჩამონათვალია, რომლებმაც სცენაზე გააცოცხლეს პიესის გმირები. გიო მგელაძემ მუსიკალური გაფორმება დათო საყვარულიძეს მიაწვდინა, ხოლო სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე — პოლინა რუდნიკა იზრუნა.

დასაწყისში, სცენა ბურუსითაა მოცული. მსახიობები, რომლებიც თანამედროვე კოსტიუმებში არიან გამოწყობილი, სათითაოდ გამოდიან სცენაზე, ერთმანეთში ირევიან და მათივე პერსონაჟების დამახასიათებელ მოძრაობებს აკეთებენ. მუსიკისა და განათების ფონზე მაყურებელში დიდი ემოცია ჩნდება, მათი მოლოდინი უსაზღვროა; ელის იმას, რაც არასოდეს უნახავს და შეიძლება, არც კი მოუკრავს ყური. ერთი სიტყვით, დარბაზში მსხდომნი ელიან რაღაც ახალს; მაგრამ მათი მოლოდინი იმსხვერვეა მაშინ, როდესაც გამოდის ერთ-ერთი პერსონაჟი, ლიოვიკა (დათო გოცირიძე), რომელიც ქართველ ერს მარადიორად მოიხსენიებს და მათ ბილნი სიტყვებით ამკობს. მაყურებელს დამოკიდებულება ეცვლება სპექტაკლის იდეის მიმართ და ზიზღის გრძნობა ეუფლება მსახიობის მიმართ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მარიონეტია. ამ გმირის

სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, რამოდენიმე წუთში დარბაზში სკამებიც აჭრიალდა და ორმა ხანში შესულმა მანდილოსანმა ჩურჩულით, გაურკვეველი ფრაზების წარმოთქმით დატოვა თეატრის შენობა.

სცენაზე თანდათან ცოცხლდებიან პიესის გმირები, რომლებიც, როგორც ირკვევა მეზობლები და თანაც „მეგობრები“ არიან. მათი ურთიერთობები უცნაურად ვითარდება. ახალგაზრდა 17 წლის გოგონა ლიზი (ეკა მოლოდინაშვილი), რომელიც ცხრა თვის ფეხმძიმეა, დედობისთვის ემზადება, მაგრამ მისი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თავადაც არ იცის მისი ჯერ არ დაბადებული შვილის მამის ვინაობა. ლიზის ერთ დღეს ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა პრაკახასთან (ზუკა პაპუაშვილი), ლოვასთან და „უროდ გინეკოლოგ“ გელასთან (გოგა ბარბაქაძე). მას არც მანამდე და არც იმ დღის შემდგომ კაცთან ურთიერთობა არ ჰქონია. ლიზიმ მისი შვილის სქესიც კი არ იცის, რადგან ერთხელაც კი არ ყოფილა გამოკვლევაზე მისული. სასონარკვეთილი და დეპრესიაში ჩავარდნილი ახალგაზრდა ელოდება ამ სამ მამაკაცს, რათა რეალობის წინაშე დააყენოს ისინი. „ოთხ თითზე ვარ გახსნილი, დღეს გაგაჩენ, ოღონდ ვის, არ ვიცი“ [...] „ჩემი შვილის მამებს ველოდები, სამ სირს, რომლებსაც ერთ დღეს მივეცი“. სპექტაკლში ლიზი არამარტო ერთ-ერთი რიგითი პერსონაჟია, არამედ მთხრობელის ფუნქციასაც



თეატრმცოდნის დიპლომატი

ასრულდება. ლიზის მეზობელი ლიოვა ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც ორ „კდემამოსილ“ ქალთან — ქეთათოსთან და ქეთუთასთან (ქეთი ხიტირი, რუსუდან მაცაშვილი) ცხოვრობს. „ლიოვას უყვარს ქეთუთაც და ქეთათოც, ქეთუთას ლიოვა და იმავდროულად ქეთათო, ქეთათოს ერთდროულად ლიოვა და ქეთათო“. ამ სასიყვარულო სამკუთხედში დიდი არეულობაა, სრული ქაოსია. ლიოვა გოლფის ჯოხით ჩნდება სცენაზე, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. სწორედ ცხოვრება, ალბათ, გოლფის ბურთივითაა, ჯოხის ერთი მოქნევასა და სადღაც გაქრება. სპექტაკლის გმირები უნმანური სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს, რაც მაცურებლისთვის გამაღიზიანებელია. საბოლოოდ „კდემამოსილი ქალბატონები“ მარტოდ ტოვებენ ლიოვას.

განმაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ დარბაზში მსხდომთაგან შევნიშნე ორი სკოლის ასაკის ბავშვი დაახლოებით 12-13 წლისანი, რომლებსაც ესმოდათ ეს ბილნი სიტყვები და სირცხვილისაგან აღარ იცოდნენ სად წასულიყვნენ, ხოლო როდესაც ინტიმური სცენები გამართეს მსახიობებმა, აქ უკვე მშობლები აღმოჩნდნენ უხერხულ მდგომარეობაში. კარგი იქნება თუ მომავალში მაცურებელი კარგად გაეცნობა სპექტაკლის აფიშას, რომ მსგავსი შემთხვევები არ განმეორდეს. მშობლები კარგად რომ დაკვირვებოდნენ ბანერს, აღმოაჩნდნენ საკმაოდ დიდი ციფრებით წარწერას: „16+“.

მამობის ერთ-ერთი კანდიდატი პრაკაზა (ზუკა პაპაშვილი) ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც ნარკომანიის სენით არის შეპყრობილი. მისი საზრუნავი „დოზის“ შოვნაა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია. პრაკაზას დახმარებას ცდილობს მამამისი ანდრო (დათო პაპაშვილი), მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდება. შვილს აგდებულ და ცინიკური დამოკიდებულება აქვს მამამისთან. ის მოვალეობის მოხდის მიზნით უსმენს მშობლის დარიგებას. სცენა ისევ ბანალურად ვითარდება, „პრაკაზა“ და მისი მე-

გობარი ზურა „იჩხირავენ“, ადამიანისთვის უკადრებელ სიტყვებს ცვლიან ერთმანეთში და რეალობას შორდებიან, სხვა განზომილებაში გადადიან. რეჟისორი პირდაპირი და მარტივი ხერხით ანახევებს მაცურებელს ნარკომანიის საბოლოო ბედს, როდესაც „პრაკაზა“ მარტოდ რჩება, უყურებს ჩამოხრჩობილ ადამიანის სილუეტს და განწირული ხმით ღრიალებს.

მამობის კიდევ ერთი კანდიდატი გახლავთ გელა, რომელიც პროფესიით გინეკოლოგია. მისი მოწოდება აბორტების კეთებაა და თავისი საქმის შეუდარებელი პროფესიონალია. ის თითოეული აბორტიდან ოცდოლარს დებს და როდესაც მილიონი შეუგროვდება, სურს უპატრონო ბავშვთა სახლს გადაურიცხოს. „გინეკოლოგიის ლომი“, როგორც მას მოიხსენიებს თამადა (ირაკლი სანაია), რომელიც ზეალმატებული სიტყვებით ამკობს „უროდ გელას“, ამ უკანასკნელის დაბადების დღეზე ამბობს შემდეგ ფრაზას: „აბორტი ისეთივე აუცილებელია დღესდღეობით, როგორც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები“. რეჟისორი პირდაპირ ათქმევინებს სპექტაკლის ერთ-ერთ გმირს და მოუწოდებს მაცურებელს მათი გამოყენებისაკენ.

ფინალურ სცენაში, რომელიც სპექტაკლის კულმინაციაა, ლიზი სამივე მამობის კანდიდატს იბარებს და ფარდას ხდის რეალობას. მას ეწყება მშობიარობა, „უროდი გელა“ აწვევს გინეკოლოგიურ მაგიდაზე. საბოლოოდ ლიზი იმშობიარებს და უჩნდება წყლით სავსე ცისფერი ბურთი. დედა იღებს ბურთს და გორგოლაჭებიან ნაგვის ურნაში ათავსებს. ის სცენაზე დაატარებს მას, როგორც ეტლს. დანარჩენი მსახიობები შემოდიან და იწყებენ წრიულად სიარულს დაძაბული მუსიკის ფონზე. ბავშვის მამები სათითაოდ ენაცვლებიან ახალგაზრდა დედას და სცენის ცენტრი დგამენ „ეტლს“. საბოლოოდ ლიზი მიდის ურნასთან, ხდის მას თავს და ამოფრინდება ცისფერი ბუშტი, რომელსაც ყველა მსახიობი შესცქერის და სპექტაკლიც სრულდება.

გოი მგელაძე შეეცადა მცირე ექსპერიმენტული სცენა დღევანდელი რეალობის სარკედ ექცია. რეჟისორმა სპექტაკლში წამოჭრა პრობლემები: ნარკო-

მანია, აბორტი, სასიყვარულო სამკუთხედი, ბილნი-ტყვაობა, „უცნობი შვილის მამები“ და მაცურებელი სხვა იმ პრობლემების წინაშე დააყენა, რომლებიც, რეალურად, ძალიან ღრმად არის გამჯდარი ქართველ ერში. რეჟისორი პირდაპირი და მარტივი ხერხებით შეეცადა საკუთარი ნუხილი მაცურებლამდე მიეტანა, მაგრამ არსებობს სხვა გზა, რომლითაც შესაძლებელია უფრო კარგად დაანახო პუბლიკას სათქმელი და მისი გაღიზიანებაც არ გამოიწვიო.

არაფერი განსაკუთრებული თქმა არ შეიძლება მსახიობებზეც, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეეცადნენ გაეცოცხლებინათ პიესის გმირები. პირველ ორ რიგში მსხდომ მაცურებელს ძლივს ესმოდათ, თუ რას ლაპარაკობდნენ სცენაზე, მაგრამ ამ მხრივ გარკვეული „გამონათებიც“ იყო, მაგალითად: პრაკაზა (ზუკა პაპაშვილი), რომელიც განწირული ხმით დედას იგინებდა. სპექტაკლის მსვლელობისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც გაფიქრებინებს, რომ რეჟისორი სადღაც იკარგება, მსახიობებიც მარტო რჩებიან ტექსტთან და ისინი თავიანთი ძალებით, საკუთარი შესაძლებლობებით ცდილობენ როგორმე წარმოგვინა ფინალამდე მიიყვანონ.

„პაკონზე“ გამოსულ რუსუდან მაცაშვილს (ქეთუთას) დიდი ოვაციები ხვდა წილად. ამ ფაქტმა დამაფიქრა: რამ გამოიწვია ამ მსახიობის შექება?! ძალიან კარგად მოიგროლი, თუ მისმა გარეგნობამ გამოიწვია ამხელა აპლოდისმენტები?! მაგრამ მას შემდეგ, რაც მაცურებელს გადავავლე თვალი, საიდანაც უმეტესობა მამრობით სქესს წარმოადგენდა, ჩემი პოზიცია მეორე მოსაზრებას მიემხრო.

დარბაზი დაიცალა, სცენაზე სიჩუმემ დაისადგურა. თეატრიდან გამოსული მაცურებლები კი თავად გახდნენ მსახიობები იმ სპექტაკლისა, რომელსაც რეალობა ჰქვია...

ლევან გასოკია  
თეატრმცოდნეობის III კურსი  
პედაგოგი პროფ. მისხილ კალანდარიშვილი

# სტიქსი — ორ სამყაროს შორის დარჩენილი სულაბი (როგორია შენი სტიქსი?)

შემოქმედდათვის ძვირფას ადამიანებს და უაზროდ სიცოცხლეს გამოსალმებულ პიროვნებათა ხსოვნას მიეძღვნა რობერტ სტურუას სპექტაკლი „სტიქსი“ და გია ყანჩელის მუსიკალური ნაწარმოები „დიქსი“. სანამ დადგმას ვიხილავდი სათაურიდან მიღებული შთაბეჭდილებით ვცდილობდი წარმომედგინა თუ რა მომელოდა თეატრში. მომავლად ბერძნული მითოლოგია, სადაც სტიქსი მიწისქვეშა მდინარეა, რომელზეც ეტლით დასრიალებს ქირონი და გარდაცვ-

მონანილებდაც ხდის და გაურკვეველობაში ხვევს. რამდენიმე წუთში კი ხვდები, თუ როგორი შეგრძნება გექნებოდა წმინდა მდინარეზე გადაადგილებისას და რას განიცდიდი ჰადესის სამყაროში მოხვედრილი.

თავდაპირველად მაცურებლის ყურადღებას იქცევს სიღრმეში ჩამწკრივებული სკამები და მათზე მდუმარე ქანდაკებებით გაშემუბული მსახიობების სილუეტები. იწყება ყანჩელის მუსიკაც, რაც სრულებით საკმარისია რომ გადაეშვა ფანტაზიის მორევი და სამუდამოდ დაგატყვევოს სტიქსმა. მელოდია თითქოს აცოცხლებს გახევებულ არსებებს და იწვევს მათ კაცობრიობის ისტორიების გასაცოცხლებლად. დინამიზმი თანდათან მოიცავს სცენას.

ცნობილმა მსახიობებმა: სოსო აბრამიშვილიმა, გიორგი გველესიანმა, ნანა ლორთქიფანიძემ, ზაზა პაპაშვილიმა, ლევან ხურციამ და სხვებმა სპექტაკლის მსვლელობისას შექმნეს ერთი არსების — ადამიანის სახე. ყოველი მათგანი არა ცალკეულ როლს, არამედ ერთ მთლიანს გადმოსცემს, — თითოეული პატარა როლს შეადგენს, რომელიც მთლიანობაში დიდს ქმნის. რეჟისორისთვის აქაც მუდამ მარადიული და გადაუწყვეტელი პრობლემებია აქტუალური: ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, დიქტატურა, აგრესია.

სცენაზე დეკორაცია მინიმუმამდე დაყვანილი, კომპოზიციის მთავარ ატრიბუტს კი სკამები შეადგენს. სიცოცხლეში ყოველ ადამიანს საკუთარი „სკამი“ გააჩნია, თავად ძერწავს ამ ნივთს და წყვეტს თუ რა მასალისაგან უნდა იყოს იგი დამზადებული. სკამების ვარდნა და კვლავ ფეხზე დაყენება სპექტაკლის მსვლელობისას ხშირად მეორდება. ცხოვრებაც ხომ მუდმივი ვარდნებისა და ამაღლებებისაგან შედგება. შეიძლება ერთ დღეს ულაშაზეს სკამზე იჯდე, მაგრამ ხვალ ვეღარ მოკალათდე მასზე, და მაინც, ადამიანს სკამი (სოციალური სტატუსი) და ძალაუფლება საიქიოში ვერ მიაქვს. ასეთი ტრაგიკულია მისი ბედი. თუმცა, ამ სირთულეების დროსაც კი რეჟისორი გვაჩვენებს იმ ნეტარების წუთებს, რომლებიც გვაკვირებენ ცხოვრების ამოუწურავ ტანჯვას, ესენია: სიყვარული, სიკეთე, კეთილშობილება. ეს თვისებები ყოველი ადამიანის შემადგენელი ნაწილია, თუმცა მას ყველა განსხვავე-

ბული ინტენსივობით იყენებს.

სცენაზე მოარულ გმირებს სულელებს თუ ვუნოდებთ. ისინი თითქოს საიქიო და რეალურ სამყაროს შორის არიან მოქცეულნი და ვერ მკვიდრდებიან, ვერ პოულობენ სიმშვიდეს... სულელები, რომლებსაც შესაძლებელია დარჩენილი აქეთ რაღაც მნიშვნელოვანი საქმე დედამინაზე, თუმცა არ დასცალდათ უბედური შემთხვევისა თუ ბოროტი ძალების მეშვეობით... დაძრწიან, თვალ-წინ ცხოვრების განვლილი სურათები ელანდებათ.

საინტერესოა სცენაზევე მომზადებული, საკმაოდ მაცდურად მომზირალი ერობო-კვერცხი, რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანს ერგო: ყველაზე „დიდს“, რადგან მოგვხსენებთ და „წყალი პატარასია როცა დიდს არ სწყურია“... შიოდა „დიდს“ და...

სპექტაკლი რობერტ სტურუას მეტაფორული თეატრის შედეგად გადაიქცა. რეჟისორმა სრულიად შეუთავსა ყანჩელის მუსიკა და მსახიობების პლასტიკა ერთმანეთს.

ფინალი კი მაინც ოპტიმიზმითა და სიხარულით სავსეა. ბნელ წარსულზე იმარჯვებს ნათელი მომავლის იმედი.

ადამიანი დღემდე ინსტინქტებით ცხოვრობს, რომლის მთავარი მიზანია გადარჩენა, სკამზე ჯდომა. მიდის სიცოცხლე, მიედინება მდინარე სტიქსივით, იცვლება ხალხი, ვითარდება ტექნიკა, თუმცა ადამიანი თავისი არსით იგივე რჩება. სპექტაკლის მსვლელობისას შეიძლება საკუთარი თავიც დაინახოთ, ან გაგახსენდეთ თქვენი ცხოვრებიდან რაიმე მოვლენა. რეჟისორმა ჩვენს თვალწინ სრულიად გაანადგურა დროის, სივრცის და რეალობის საზღვრები და შემოგვთავაზა არსებით რეალურზე გაცილებით უფრო ჭეშმარიტად რეალური, აბსტრაქტული ყოფა ადამიანისა. ეს ჩვენი სიცოცხლეა, თავისი ნაკლოვანი თუ დადებითი თვისებებით. სწორედ ეს გახლავთ ჩემთვის სტიქსი და როგორია შენი სტიქსი?!

მარიამ გოლქვაძე  
თეატრმცოდნეობის III კურსი  
პედაგოგი პროფ. მისხილ კალანდარიშვილი



ლილთა სულელებს ჰადესის სამყაროში შეაბრძანებს. ნუთუ რეჟისორმა გადამწყვიტა ადამიანის საიქიო სიცოცხლე გვაჩვენოს, თუ ნოსტალგია დაკარგული ახლობელი ადამიანებისა... ამგვარი ორჭოფით საკუთარ თავთან გავეშურე თავად სპექტაკლის სანახავად. მოგვხსენებთ წინასწარ შექმნილი განწყობა განსაკუთრებით ახდენს გავლენას თითოეულ დეტალზე: გეჩვენება რომ რუსთაველის თეატრის ფარდები რაღაც უფრო ნათელია, ის ხომ სულ ასეთი იყო, თითქოს დარბაზი უფრო განათებულია... უყურებ სახეებს, რომელთა უმრავლესობაც ელის ფურორს, ისევე როგორც შენ.

იწყება სპექტაკლი, თუმცა ისეთივე ბურუსით, როგორიც სცენაზე სუფევს. კვამლი არამარტო მსახიობებს, არამედ მაცურებელსაც მოიცავს, მათ თანა-



თეატრალური დიპლომატი

„მე ბენიამინ ნოვაკი მქვია“, — ასე იწყება სპექტაკლი „ბენიამინი“ (რეჟ. ტომას ლეშჩინსკი, ირაკლი გოგია) რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე. ეს სიტყვები თითქოს მაყურებელს წინასწარ ამზადებს ერთი ჩვეულებრივი ადამიანის უჩვეულო ბიოგრაფიის მოსასმენად. სანამ რადოსლავ პაჩეხოს პიესას გავეცნობოდი, მე, როგორც რიგით მაყურებელს, დეკორაციის შემხედვარე გამიჩნდა წინასწარი შეხედულებები თუ რის შესახებ იქნებოდა სპექტაკლი. დეკორაცია, შეიძლება ითქვას, სულ ორი საგნისგან შედგებოდა, თუმცა ამ ორ საგანს სპექტაკლის მიმდინარეობისას მრავალი დანიშნულება ხვდა წილად. სცენის მარცხენა მხარეს განთავსებულია თეთრი გორგოლაჭებიანი, მრგვალი სცენისმაგვარი „მაგიდა“, რომელიც გარშემო ზოდიაქოს ნიშნებითაა მოხატული, სწორედ ამ ნიშნებმა მიიპყრეს ჩემი ყურადღება. რატომღაც დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ რაღაც ურწმუნოებასთან და წარმართულთან გვექნებოდა საქმე. დეკორაციის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია თეთრი, ორად გაყოფილი კედელი, რომელიც სპექტაკლის დანიშნულებისამებრ ხან კარის ფუნქციას ასრულებს, ხან ეკრანის, და ზოგჯერ უჯრებისაც.

შუქი ინთება, თეთრ სამოსელში გამოწყობილი ბენიამინი (მსახიობი ბაჩო ჩაჩიბაია) ნეება მრგვალ მაგიდაზე, შემდეგ დგება და იწყებს თავისი ამბის მოყოლას, მასთან ერთად ორი გოგონაა: ელიზა და ლუიზა (მანანა აბრამიშვილი და ლელა ახალაია), რომლებიც უცნაურად გამოიყურებიან: თეთრი, გაფითრებული სახეები, ჩაშავებული თვალები, შავი ჩონჩხებიანი სამოსი, ერთი შეხედვითაც ეტყობათ, რომ არაამქვეყნიური სტუმრები არიან. სპექტაკლის დასაწყისში ბენიამინის გაღვიძება და ამ უცნაური გოგონების გამოჩენა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს ყველაფერი ზმანება იყო და ბენიამინი თავის ცუდ სიზმარს გვიყვებოდა, თუმცა შემდგომ ვიგებთ, რომ საუბედუროდ, ეს მისი რეალური ცხოვრებაა.

ბაჩო ჩაჩიბაია ნათლად გადმოსცემს იმ პიროვნების ხასიათსა და მდგომარეობას, რომლის განვლილი ცხოვრებაც სავსეა შეცდომებით, დანაშაულებებით და იმედგაცრუებებით. ისე მშვიდად იწყებს ამბის მოყოლას, თითქოს ეს ამბავი მას კი არა ვიღაც სხვას გადახდა. ეს ერთ-ერთი ნილაბია, დროებით გაექცე რეალობას და ისე ილაპარაკო მასზე, თითქოს ბევრი არც არაფერი მომხდარა, თუმცა სწორედ ასეთი მიდგომა უფრო მკაფიოდ გვაიძულებს წარმოვიდგინოთ ბენიამინის დებრუსიული მდგომარეობა, მას ეშინია თვალი გაუსწოროს საკუთარ თავს. ბენიამინი პირველ რიგში იხსენებს თავის არ შემდგარ რომანებს, როგორც თავად ამბობს „ორ დიდ სიყვარულს“. ელიზა და ლუიზა, — სახელები რომლებიც საბედისწერო აღმოჩნდება არა მხოლოდ ბენიამინისთვის არამედ თავად გოგონებისთვისაც, — ორივე ტრაგიკულად დაიღუპება ბენიამინის „ქალაქგარეთ სახლში“. ეს სახლი არაერთი უბედურების ადგილი ხდება, ჩვენ კი ამ „მისტიკურ“ სახლს, მხოლოდ ეკრანზე გამოსახვით ვეცნობით. ასევე ჩვენს ფანტაზიას მიანდო რეჟისორმა იმის წარმოდგენა, თუ როგორ იხრჩობა ელიზა ოფელიას მსგავსად შროშანებით სავსე ტბორში. ალბათ, შემთხვევითი არაა ოფელიასა და ელიზას შედარება, ისინი ხომ ოირვე სიყვარულის მსხვერპლნი არიან. ეს სცენა მსახიობებმა გამჭვირ-



ვალე ყუთისა და წყლის თოფის საშუალებით გაითამაშეს, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ვუყურებდით ვიდეო ჩანაწერს, რომელსაც ვიღაც ხან უკან აბრუნებდა, ხან წინ ახვევდა. სცენაზე, ვერც იმას ვხედავთ, თუ როგორ იწვის დაკეტილ ოთახში ლუიზა, თუმცა ერთი რამ ალსანიშნავია, როდესაც ისინი გვიყვებიან ამ ტრაგიკულ ამბავს, ჰგვანან ძაფებზე ჩამოკიდებულ თოჯინებს, რომლებსაც ვიღაც უჩინარი მსახიობები ამოძრავებენ. ლუიზას გაცნობიდან ნათელი ხდება, თუ რატომ ფიგურირებს ჰოროსკოპის ნიშნები დეკორაციაში: ის თურმე გატაცებული იყო ასტროლოგიით. გოგონები, რომლებსაც ირონიული, უღიმამო ლიმილი დასტრიალებთ უფერულ ტურჩებზე, მთელი სპექტაკლის მსვლელობისას ესმარებიან ბენიამინის წარსულის გახსენებაში, რომ არაფერი გამოჩნდეს. იყოფა თეთრი კედელი და ბენიამინი გვაცნობს თავის მორიგ სიყვარულს მარიანას (ქეთი სვანიძე). სექსუალური „ბაჭია“, რომელიც გაუჩერებელი მოძრაობებით და არაფრის მცოდნე გამომეტყველებით, ხაზს უსვამს თავის უჭკუობას, რაც ასე ძალიან მოსწონდა ბენიამინს. ერთი შეხედვითაც შევატყობდით, რომ სრულებით განსხვავდებოდა ელიზასა და ლუიზასაგან. მარიანასთან ურთიერთობაში ჰპოვებს მოსვენებას ბენიამინის მამაკაცური კომპლექსები, იგი სრულყოფილად გრძნობს თავს, როდესაც სულელი „ბაჭია“ მასზე მთლიანად დამოკიდებულია და მოსწონს ძალაუფლება: „ის ასაზრდოებს ჩემს ყველა კომპლექსსა და ნაკლოვანებებს, ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ მე ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ძლიერი და ყველაზე დამოუკიდებელი ვარ ყველა მამაკაცს შორის მთელს მსოფლიოში...“ იგი საუკეთესო თანამგზავრად მიიჩნევს მარიანას, მასთან კომფორტულად გრძნობს თავს, ალბათ ამიტომაც შეიკავეს თავი აგარაკზე „სასეირნოდ“ წასვლაზე. მაყურებელს ცნობისმოყვარეობა უმძაფრდება „რა მოხდა შემდეგ?“ თუმცა, სანამ ამას გავიგებდეთ ბენიამინი გვაცნობს ნიკოლოს „მეგობართა შორის უპირველესს“. ნიკო-

ლო (ირაკლი სანაია) ბენიამინის საუკეთესო მეგობარია, მათი საუბრისას თითქმის მომაბეზრებლად ფიგურირებს სიტყვები: „ ჩემო მეგობარო, ჩემს მეგობართა შორის უპირველესო“ და რაც უფრო ხშირად მეორდება ეს წინადადება, მით უფრო კარგად ვხვდებით ამ სიტყვების ირონიულ ქვეტექსტს. თუმცა, ამის წარმოთქმის გარეშეც მშვენივრად გვარწმუნებს თვალთმაქცობაში მსახიობი ირაკლი სანაია, თავისი ეშმაკური გამოხედვითა და ცინიზმით აღსავსე ლიმილით, რომელიც არასოდეს შორდება მის სახეს. ისინი იხსენებენ მესამე ძმაცას, — ერიკს, რომელსაც მათ შორის, როგორც თვითონ ამბობენ, საუკეთესო CV ჰქონდა, თუმცა სამწუხაროდ ის უკვე გარდაცვლილია. ნიკოლოს საუბრიდან ვხვდებით მის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, ბენიამინისგან განსხვავებით, მას კარგად აქვს შეგნებული ცხოვრების ამოება და არ მიილტვის ძალაუფლებისაკენ. აი, შემდგომ ისევ „ქალაქგარეთ სახლი“ გვახსენებს თავს. ნიკოლოს დაბადების დღის აღსანიშნავად ისინი მიემგზავრებიან აგარაკზე. ნიკოლოს სურვილი გაუჩნდება აღსარება ჩააბაროს საუკეთესო მეგობარს, მოუყვებს თავისი დანაშაული, გულწრფელად აღიაროს და ბენიამინმაც „შეუნდოს“. მოსწონს, როცა მათზე არიან დამოკიდებულნი, — სწორედ ეს ხიბლავდა მარიანასა და ნიკოლოს შემთხვევაშიც. უყვარს ადამიანების თამაში თავის ჭკუაზე, სულაც არ დარდობს, როდესაც უყურებს მარიანასა და ნიკოლოს ძალადობრივ სექსუალურ აქტს, პირიქით — სიამოვნებას ჰგვრის, ამ დროს დირიჟორად გრძნობს თავს, რომელიც წარმართავს და თავის ნებაზე ამოქმედებს საბრალო გმირებს. მხოლოდ ბენიამინი აღარაა მკვლელი, ამის მომსწრე ნიკოლოცაა.

დგება ის მომენტი როცა მათგან ერთ-ერთი უნდა დარჩეს: სცენაზე ჩხუბი და არეულობაა, მრგვალი მაგიდა ფარად იქცა. რეჟისორმა მათი ორთაბრძოლა შემდეგნაირად გადმოგვცა: ეკრანზე თვალს ვადევნებდით კომპიუტერულ თამაშს, სადაც ორი მოთამაშე ერთმანეთს ესვრის. ბენიამინი გადარჩა, მაგრამ გადარჩა?! ეს კიდევ საკითხავია. იგი მარტო რჩება, წუთით სიმშვიდეა სცენაზე, ეს ის სიჩუმეა, როცა „სიჩუმე ყველაზე მეტად ხმაურობს“, ოდნავი შრიალიც კი აკრთობს და ჭკუიდან შლის ჩვენს მთავარ გმირს და ისევ სრული ქაოსი. მის წინაშეა საკუთარი ხელით დახოცილი „საყვარელი ადამიანები“. ბენიამინის ფსიქოლოგიური მდგომარეობა პიკს აღწევს. რასაც თავიდან გვიმაღავდა, ახლა ყველაფერი ცხადია: მისი შერყეული ფსიქიკა, სურს, რომ როგორმე დაახშოს მიცვალებულთა ხმები, რომლებიც უბიძგებენ საუკეთესო გამოსავლისკენ — მოიკლას თავი! ბენიამინი ჯერ კიდევ არ ნებდება, აფორიაქებული სათითაოდ კეტავს უჯრებს, თითქოს უნდა რომ ეს არსებები მოამწყვდიოს, მაგრამ ყველაფერი ამაოდ. თავის მოკვლამდე ბენიამინი გვეკითხება: „რატომ არ გამაფრთხილეს, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა?!“ ეს უფრო საყვედურს ჰგავს, მაგრამ ვისი მისამართით? ღმერთის თუ საკუთარი თავისადმი, მან ხომ თვითონ შექმნა ასეთი სამყარო სადაც სურდა თავად ყოფილიყო ღმერთი.

**სალომე თვალთმომხილი**  
**თეატრმცოდნეობა III კურსი**  
**პედაგოგი პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი**



**პარამონიული და არაპარამონიული ოჯახები  
სოსილურ-ფსიქოლოგიური კვლევა  
კვლევითი სამუშაო**

დღეს მხოლოდ სიყვარულისა და ვნების გამო უკვე არასრულწლოვანებიც კი იშვიათად ოჯახდებიან; ერთი მხრივ, შეიცვალა მენტალიტეტი და მეორე მხრივ, ახალგაზრდა ადამიანისთვის მეტნაკლებად გასაგები გახდა ცნება „ოჯახის“ არსი, თავისი პასუხისმგებლობითა და რიგი ვალდებულებებით. როდესაც ორი შეყვარებული ადამიანი ღვთისა და კანონის წინაშე, ერთგულების ფიცით, ერთმანეთს უკავშირებს ცხოვრებას და ქმნის ოჯახს, ისინი ფიქრობენ, რომ მზად არიან და თუ საჭირო გახდა შესწევთ უნარი და ძალა გადალახონ ყველანაირი დაბრკოლება. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ის პერიოდი, როდესაც „დედამინა მათ გარშემო ბრუნავს“. თანაცხოვრების დასაწყისში ხომ ნებისმიერი წყვილი ჰარმონიულია (იმავითი გამოწვევის გარდა) და თითქმის დარწმუნებული, რომ ურთიერთობაში ბზარი არასდროს გაჩნდება; თუმცა ეს უფრო სურვილია მათი და მამინ, როდესაც დაქორწინებულები ყოფილი პირობების რეალურად უსწორებენ თავს, ეს სურვილები გვერდზე იმედები კი, ხშირად, — გაცრუებული რჩებიან.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად სერიოზულია პრობლემა და არის თუ არა საერთოდ საკითხი საპრობლემო; მაგრამ შეხედულებები ინდივიდუალურია და რამდენი ინდივიდიცაა, იმდენი შეხედულებაა. ზოგი გამოუვალად სიტუაციადანაც პოულობს გამოსავალს, ზოგი კი ნაპერწკალიც ხედავს ცეცხლს, არ აქვს უნარი ჩააქროს და პირიქით — „ზემოდან ასხამს ნავთს“. წარმოიშობა უთანხმოება. თავის მხრივ, გააჩნია ამ უთანხმოების ფორმასა და ინტენსივობასაც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, შედეგი ერთია — ოჯახური ჰარმონია იკარგება.

რა ან ვინ არის ამის მიზეზი? რამდენად ობიექტურად აღიქვამენ და აღიარებენ საკუთარ შეცდომებს მეუღლეები? არიან თუ არა მიდრეკილნი თვითშეფასების მოტივებისა და საკუთარი ღირსებების გაზვიადებისკენ? ოჯახის რომელი წევრი მიიწერს წარმატებულ ცხოვრებას და როგორ იცვლება ეს სურათი იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი თანაცხოვრება წარუმატებელია.

ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ მოკლე გამოკითხვა სამ სხვადასხვა ოჯახში და ვეცადეთ პრაქტიკული კვლევის შედეგის შეფასებას თეორიული ცოდნა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით თითოეულ წევრს. თუმცა იმის გამო, რომ საგაზეთო სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, ჩვენ ვერ ვებეჭდავთ ამ გამოკითხვას სრული სახით, რაც თავის მხრივ ბევრად საინტერესო იქნებოდა.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ახალგაზრდებში მიღებული ჰიპოთეზა წყვილის აუცილებლად ცალკე ცხოვრებასთან დაკავშირებით, მთლად მართებული არ აღმოჩნდა. მართალია, ხშირია მეუღლის მშობლებთან უთანხმოებები, მაგრამ მათთან ერთად ცხოვრების შემთხვევაშიც სავსებით შესაძლებელია ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება და შემდეგ შენარჩუნება.

ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ქალია ოჯახში შემომტანი, ეს ყოველთვის არ იწვევს არაჰარმონიულობას, და პირიქით, როცა მამაკაცის ხელფასი საკმაოდ ნორმალურია, უთანხმოება მაინც არის ფინანსებთან დაკავშირებით. ხოლო მამინ, როდესაც ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს, რის შედეგადაც მიღებულია ფინანსური კრიზისი, შენარჩუნებულია იდლია.

თეორიული ცოდნის პრაქტიკულად შემოწმების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები ოჯახის თითოეულმა წევრმა საკუთარ თავში უნდა ეძიოს. ჰარმონიულობის შენარჩუნებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ სიყვარული — ურთიერთგაგების, ნდობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გარეშე.

ხშირად არ არის საჭირო მეუღლეებმა უყურონ ერთმანეთს, სჯობს იყურონ ერთი მიმართულებით; არ დაუდგენენ ერთმანეთს მხოლოდ გვერდით, არამედ, ამოუდგენენ მხარშიც!

**რუსუდან თუხიშვილი  
ტელე-ჟურნალისტიკის I კურსის მაგისტრანტი**

**სოსილური ფსიქოლოგიის ერთი გაკვეთილი  
კვლევითი სამუშაო**

1997 წელს პრინსტონის უნივერსიტეტში ჯეკი ფორაუერისა და დეილ მილერის მიერ ჩატარდა კვლევა „მე“ სოციალური სამყაროში“, რომლის მიზანი იყო გაერკვია ახდენს თუ არა გავლენას ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სხვისი მოსაზრების ან გადაწყვეტილების ჩამოყალიბებაზე. მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის I კურსის სტუდენტებთან გადაწყვიტეთ თემაზე: „საუნივერსიტეტო ცხოვრების შეფასება“. ლექციაზე დასწრე სტუდენტების ერთ ნაწილს უნდა დაეტოვებინა აუდიტორია, მეორეს კი წერილობით გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება საუნივერსიტეტო ცხოვრების მიმართ, ამის შემდეგ მეორე ჯგუფის წევრები უნდა გაცნობოდნენ I ჯგუფის წევრების ნამუშევრებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყეთ წერა, საკვლევი იყო სწორედ ის, თუ რა გავლენას მოახდენდა მეორე ჯგუფზე ნაკითხული...


ექსპერიმენტს მონაწილეები დიდი სერიოზულობით მოეკიდნენ რისთვისაც მადლობას ვუხდით. ქების ნაცვლად გადაწყვიტეს პრობლემაზე ესაუბრათ, კრიტიკული თაობა... ვერ იტყვი რომ უსაფუძვლოდ, რადგან აზრი ჰკითხეს, გადაწყვიტეს მოეთხოვათ ის, რაც ეკუთვნით; თუმცა იყო გადაჭარბებული სურვილებიც, ახალგაზრდა მემამბოხე თაობა „მეტ თავისუფლებას“ ითხოვს. I კურსი ხომ მათთვის ცხოვრების ახალი ეტაპია, რომელშიც დიდი მიზნებით და წარმოდგენებით შეიპოვება, თანაც „თეატრალურში“, — „ხელოვნების უნივერსიტეტი“, — „არანორმალური ხალხი სწავლობს“ და „ცნობილი სახეები ასწავლიან“. მათ წარმოდგენაში „თეატრალური“ ქართული ჯულიარდია, თანაც ისეთი, როგორსაც ფილმებიდან იცნობენ. თუმცა ფრაზები „ყველაფერი ჩვენზეა“, „თაობა არ არის მზად“, — მეტყველებს იმ თვითკრიტიკაზე, რომელსაც ყოველთვის სიკეთე მოაქვს.

გამოკითხვისას გამოიკვეთა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დადებითი მხარეები: კარგი სწავლა, პროფესიონალი ლექტორები და ნამოიჭრა სამართლიანი მოთხოვნები სასადაილოს არარსებობასთან დაკავშირებით, საფუძვლიანი არგუმენტით: „ხშირად გვინებს გარეთ გასვლა, რის გამოც ლექციებზე ვაგვიანებთ“. ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტების დიდ უმრავლესობას არ მოსწონს სხვადასხვა სპეციალობის შეერთებული ლექციები, რადგან მათთვის რთულია კონცენტრირება, ლექტორებისთვის კი აუდიტორიის დამორჩილება, როდესაც სტუდენტების რიცხვი 60-70 აჭარბებს.

რაც შეეხება უშუალოდ ექსპერიმენტს, იგი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ჩვენ თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გადავამოწმეთ და შედეგაც მივიღეთ: I ჯგუფში ხუთი სტუდენტიდან ორმა სასადაილოსთან დაკავშირებით გამოთქვა საყვედური, ამ ჯგუფში ეს იყო მთავარი პრობლემა. II ჯგუფშიც საკმაოდ აქტიულები იყვნენ სასადაილოს თემა: რვა სტუდენტიდან უკვე ოთხი შეეხო ამ პრობლემას, თუმცა ხუთმა ნამოიჭრა სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების საერთო ლექციების საკითხი, რომელზეც I ჯგუფში არავის უსაუბრია. ძირითადი გავლენა პირველმა ჯგუფმა მეორეზე მოახდინა იმ კუთხით, რომ კარგი მხარეების ნაცვლად, მათ პრობლემაში ნამონიეს ნინა პლანზე, რადგან თუ I ჯგუფში ჭარბობდა დადებითი შეფასებანი და უარყოფითი შეფასებების სიმრავლით გამოიჩინდა, II ჯგუფში ნაკლები იყო დადებითი შეფასებაც და აზრთა განსხვავებულობაც, ანუ მათ ნამონიეს ის პრობლემები რაც ყველას ერთად ყველაზე მეტად აწუხებდათ.

კვლევა შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან პრაქტიკულად გადავამოწმეთ ექსპერიმენტის სიზუსტე და გავეცანით სტუდენტების დამოკიდებულებას.

1--სასადაილო; 2--სხვა პრობლემები; 3--დადებითი მხარეები; 4--შეერთებული ლექციები.



**სოფიო საყვარაშვილი  
ტელე-ჟურნალისტიკის I კურსის მაგისტრანტი**

**ზოგადი ფსიქოლოგიის ერთი გაკვეთილი  
წარმოსახვა და მასკოტის ცდა.  
სამ საბანზო ესსეს ღანძარა,  
საბანზო: ფსიქოლოგიური სავარკველი, გეგმიური  
ქოლგა, ბავშვი.**

ციოდა, ღამე იყო. ჭრელი, ფერადი, ოდესღაც ჯანმრთელი და სალსალამათი ქოლგა მიაბიჯებდა, ძლივს მიდიოდა და თან ფიქრობდა როგორ გამოიყენეს... ის რომ არ ყოფილიყო ბევრს ან სიციხე შეაწუხებდა, ან წვიმა. დაძველდა, მოტყდა და აღარავის სჭირდება?! მიატოვეს, სანაგვეზე მოისროლეს და არავის ადარდებს მისი ბედი. ერთ-ერთი ავტოსამრეცხაოს გვერდით, ნაგავთან თბილად მოკალათებულიყო. ფეხით მოსიარულეებს უყურებდა. ათვალთვებდა ახალგაზრდა, პრანჭია ქოლგებს, რომლებიც ამყავდნენ მიდრეკილნი ერთად.

— შენც მიგაგდეს? — უცბად ხმა მოესმა ქოლგას.  
— მეც?! — გაუკვირდა. ფიქრობდა, რომ მარტო ის იყო მიტოვებული და მიგდებული.  
ასე არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ეს ადგილი უფრო ადრე უპოვია სავარძელს, ფეხმოტეხილს, დახეულს. სანყალი, თავისი ლოთი პატრონის მსხვერპლი იყო, რომელმაც სხვაზე გაბრაზებულმა ჯავრი სავარძელზე იყარა და ფეხი მოტეხა. ალბათ იფიქრებდა ლოთი: არაუშავს დავაჭედებ და ეგააო... მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ სა-

ვარძელს ლურსმნის დაჭედებაც სტკიოდა. ქოლგის მსგავსად, ესეც ყველასგან მიტოვებული, მიგდებული და უსარგებლო ნივთი აღმოჩნდა...

ერთ ღამეს ტირილი შემოესმათ. აიხედეს, კალათა იყო, შიგ ბავშვი იწვა.

იცით რა გაუკვირდათ? ის ხომ არც ფეხმოტეხილი იყო და არც გატეხილი. ჯანმრთელი, უწყინარი ჩვილი... რატომ მიატოვეს? რატომ მიაგდეს უსარგებლო ნივთები-ით? რატომ განირეს?

**ნიკო პაიჭაია  
დამდგმელი ქორეოგრაფი,  
I კურსი, დრამის ფაკულტეტი**

**აბდაშადა, ანუ - როგორც გინათობ**

გატეხილი ქოლგა ჩინო ბევრს დარდობდა, - მას შემდეგ, რაც სინსმა გატეხა აღარავინ აქცევდა ყურადღებას. სინსი, ოთხი წლის ბავშვი, რომელსაც სადარდებელი არაფერი ჰქონდა, ხშირად მავნებლობდა და ჩინოს გარდაკიდევ მრავალი მსხვერპლი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო სავარძელი ნომერი სამი.

ნომერ სამს დაძმებიც ყავდა: ნომერი 1, 2, 4, 7, და 8. სამწუხაროდ, ნომერი 5 და 6 სინსის მშობლებმა შეინირეს, რადგან ისინი ჭარბწონიანები იყვნენ.

ნომერ სამს ქოლგა ჩინო ძალიან უყვარდა. ხშირად ისინი ღამებს ერთად ატარებდნენ, მაგრამ ახლა ორივეს „გატეხილი“ ერქვა და არც ერთმანეთისთვის იყვნენ მომხიბველნი და აღარც სინსისა და მისი მშობლებისთვის.

**მიშო არჩვაია  
დრამის ფაკულტეტი მსახიობი I კურსი**

**დროის აღება**

დრო, ყველა არსებისათვის გადის ამქვეყნად, მაგრამ მის მსვლელობას იმიტომ განიცდის ადამიანი, რომ მას გააჩნია დროის აღქმის უნარი. ეს უკანასკნელი ისე ჩაეჭიკრებულა, როგორც ქუჩაში, შენთვის სრულიად უცნობი, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი პიროვნება.

დროსთან ერთად იზრდები ყოველ მხრივ, სწავლობ საკუთარსა თუ სხვის შეცდომებზე, გეცვლება ცხოვრებისეული მიზნები და ღირებულებები, იძენ მეგობრებს, მაგრამ ამავდროს, სხვა სახეს იღებს შენი ფიზიკური თუ სო-



ციალური მდგომარეობა, კარგავ შენთვის ძვირფას ადამიანებს (ყველაზე ცუდი ის არის, რომ გგონია - ეს არასდროს მოხდება და უსუსური ხარ ამ რეალობის წინააღმდეგ და იძულებული ხარ, დაკმაყოფილდე მხოლოდ მათი ფოტოსა და სიზმარში ნახვით).

ასე რომ დრო, ადამიანის მოყვარეცაა და მტერიც. ჩემი აზრით, მაინც ყველაზე დიდი ცხოვრებისეული სირთული, სწორედ დროის მსვლელობაა.

დღე და ღამე ენაცვლება ერთმანეთს, ადამიანი კი ყოველდღიურად იზრდება საკუთარი თავის აღმოჩენისა და დამკვიდრებისათვის, აბა, რა არის სხვადასხვა მეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის და ა. შ. მიზანი. მსჯელობა უკეთესად და ღირსეულად ცხოვრებისათვის (თუ ამას შეძლებს ადამიანი, გაუძღვება ყველანაირ სირთულეებს და არ ექნება ცოდვისკენ მიდრეკილება, სამოთხის კარი მისთვის ღია იქნება).

ცხოვრება არის ორთაბრძოლა, ხან სუსხიანი ქარი ქრის, გასურს გაიქცე, გადაიკარგო; ხან მზის სხივები გულს გიტბობს და თუ კი ძალღონეს არ დაიშურებ, არ დანებდები ეს ორთაბრძოლა შენი გამარჯვებით დასრულდება. მაგალითი არსებობს, როგორც რეალობაში ისე ლიტერატურაში. ავილოთ, ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“. მეთევზეს არაფერი გააჩნია, არც ახალგაზრდობა. სამინელი ამინდია: წვიმს, ქუხს, მაგრამ მას აქვს მთავარი, — დიდი სურვილი, მოწოდება, ნებისყოფა და იმედი, ამიტომაც იგი მიაღწევს სანადელს. არა აქვს მნიშვნელობა შემდეგ რა მოხდება, მეთევზემ ხომ ეს შეძლო.

ასე რომ, ვფიქრობ, სწორედ ამ ორთაბრძოლისათვის ღირს ცხოვრება და ის იქნება მაგალითი, აღვიქვით რეალობა, თავისი უარყოფითი, დადებითი მხარეებით.

თანაც უფალმა ყველას ამ ცხოვრებაში მისია დაგვაკისრა, რომლის განხორციელებასაც უნდა ვაცადოთ სიცოცხლის ბოლომდე.

**მარიამ სულიაშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობა, I კურსი**



# ემირ ყუსტურიცა - ანთროპოლოგიის ჯგუფის ჯგუფის მენეჯერი

ცნობილი იუგოსლავიელი რეჟისორი ემირ კუსტურიცა დაიბადა 1954 წლის 24 ნოემბერს სარაევოში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. კუსტურიცას მშობლები სერბი მუსულმანები იყვნენ ქრისტიანული ფესვებით. მამა, მურატ კუსტურიცა, იყო კომუნისტური პარტიის წევრი და იმდროინდელი ბოსნიის ერთ-ერთი სამინისტროს მაღალჩინოსანი.



გიმნაზიაში სწავლისას კუსტურიცა თამაშობდა ფეხბურთს და ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბთან აფორმებდა კონტრაქტს, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მას სპორტთან დამშვიდობება მოუწია, ამის შემდეგ მან გადაიღო სამოყვარულო ფილმი და მოულოდნელად გახდა პრემიის მფლობელი, ამ ფაქტის შემდეგ კუსტურიცა კინემატოგრაფით დაინტერესდა, 18 წლის პრალაში მამიდასთან გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ჩააბარა ხელოვნების აკადემიაში (FAMU) კინოტელევიზიის კინორეჟისორის სპეციალობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ინსტიტუტის კურსდამდევთაგან ერთადერთია ცნობილი ჩეხი რეჟისორი მილოშ ფორმანი.

კუსტურიცამ პირველი სტუდენტური ფილმები 1971 წელს „სიმართლის ნაწილი“ და 1972 წელს, — „შემოდგომა“ გადაიღო. მისი სადიპლომო ნაშუქვეარი 25 წუთიანი „გერნიკა“ არის 40-იანი წლების ევროპულ ოჯახში აზრდელ ბიჭზე, ფილმი ფაშისმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ფილმი სტუდენტური კინოფესტივალის გრამპრის მფლობელი გახდა.

1977 წელს ემირი დაბრუნდა მშობლიურ სარაევოში, დაიწყო ტელევიზიაში მუშაობა, სადაც მოკლემეტრაჟიანი ფილმებს იღებდა, ლამაზობით კი როკჯგუფში უკრავდა ბასგიტარაზე 1978 წელს მან გადაიღო ფილმი „პატარძლები მოდიან“, თუმცა ამ ფილმს ეკრანი არ ღირსებია, ვინაიდან ეხებოდა სოციალისტურ გარემოში ტაბუირებულ თემებს. მოგვიანებით, კუსტურიცა თავის ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ეს ფილმი მის შემოქმედებაში ყველაზე თამამი ნაბიჯი იყო.

1980 წელს გადაიღო კიდევ ერთი სატელევიზიო ფილმი „კაფე ტიტანიკი“, იყო ანდრიჩის რომანის მიხედვით. ფილმის სიუჟეტი, ისევე, როგორც სადიპლომო სურათის, „გერნიკას“ სიუჟეტი, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ სარაევოში ვითარდება.

1981 წელს შედგა რეჟისორის 1980 წელს გადაღებული პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის „გახსოვს დოლიბილი?“ საერთაშორისო პრეზენტაცია, ფილმმა დაიმსახურა ვენეციის ფესტივალის ჯილდო, საუკეთესო დებიუტისთვის. ამ დროისთვის ემირი ჯარში მსახურობდა, ასე რომ მას პირდაპირ კაზარმიდან მოუწია ფესტივალზე წასვლა, „გახსოვს დოლიბილი“ ასევე გამორჩეული იუგოსლავიისთვის იმით, რომ ის პირველი ფილმია ბოსნიურ დიალექტზე გადაღებული. ოცდაექვსი წლის ასაკში კუსტურიცამ, მიიღო არაოფიციალური ტიტული – ოცდამეერთე საუკუნის რეჟისორი.

4 წელიწადში 1984 წელს კუსტურიცამ გადაიღო მხატვრული ფილმი „მამა მივლინებაში“, რომელიც ასახავს ბავშვის თვალთა დასახელებული ომის შემდგომი იუგოსლავიის რეპრესიულ ცხოვრებას, სარკასტულია ავტორის დამოკიდებულება კომუნისტური ფასეულობების მიმართ. ფილმმა კუსტურიცას ოქროს პალმის რტო კანის კინოფესტივალზე და ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინაცია მოუტანა, მილოშ ფორმანმა კუსტურიცას ევროპული კინოს იმედი უწოდა.

შემდეგი ფილმი „ბოშათა ჟამი“ 1989 წელს იტალიელ და ინგლისელ პროდიუსერებთან ერთად გადაიღო. ეს იყო პირველი ფილმი ბოშურად, ფილმი იყო ახალი, ბოშურ-ბალკანური, ესთეტიკა მსოფლიო კინემატოგრაფიაში. აღსანიშნავია ფილმის „საუნდტრეკი“, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფილმისა, ის გორან

ბრეგოვიჩს ეკუთვნის, ფილმმა კანის ფესტივალზე მოიპოვა პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის.

იმავედროულად კუსტურიცა იგივე კუსტა, როგორც მას მეგობრები ეძახიან პანკჯგუფში „Zabranjeno Pušenje“-ში უკრავდა ბასგიტარაზე, რის გამოც ის სარაევოს ინსტიტუტიდან გააძევეს, სადაც რეჟისურის ლექციებს კითხულობდა, მილოშ ფორმანმა კუსტურიცა კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიწვია ლექციების ჩასატარებლად.

1992 წელს კუსტურიცას ამერიკელი სტუდენტის დევიდა ტკინისის სცენარის მცირე გადაშეშვების შემდეგ შექმნა „არიზონას ოცნება“, რომელშიც ჯონი დეპი მთავარ როლს ასრულებს, თუმცა ფილმმა ვერც კრიტიკოსებში და ვერც კინოგაქირავებაში წარმატება ვერ მოიპოვა, მიუხედავად ამისა, ბერლინის კინოფესტივალზე ფილმს ვერცხლის დათვი ერგო. შემდგომ კუსტურიცა თავის ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ჰოლივუდი თავისი რაციონალური, პრაგმატული მოსაზრებების გამო არ არის შემოქმედებითი ადგილი და ის აღარასოდეს იმუშავებს ამერიკაში, ასე რომ „არიზონას ოცნება“ არის რეჟისორის ერთადერთი ამერიკული სურათი.

1992 წელს იუგოსლავიაში დაიწყო სამოქალაქო ომი, ამ ამბავს ემირის მამა მურატ კუსტურიცა გულის შეტევით ემსხვერპლა, ომის დროს დაინვა კუსტურიცას სახლ-კარი, ომის ავბედობა კუსტურიცას შემოქმედებაზე აისახა. 1995 წელს მან გადაიღო „იატაკევეში“ ფილმი ათწლეულის მოვლენად აღიარეს, ხოლო კუსტურიცამ მეორედ მიიღო კანის ფესტივალის პალმის რტო. ფილმი მეტაფორულად, გროტესკულად, თუმცა ძალიან კრიტიკულადაა ასახული იუგოსლავია და მასში მცხოვრები ყველა ეთნოსი, რის გამოც იგი მშობლიურ სარაევოში მონსტრად გამოაცხადეს და მისი ოჯახის დევნაც დაიწყო, ემირის დედა იძულებული გახდა ჩერნოგორიაში გადასახლებულიყო, ასევე კრიტიკაც დაუნდობლად აქილიკებდა მას, მან თქვა რომ ვერ გაუგეს და კინოდან წასვლის შესახებაც გააკეთა განცხადება.

გადაწყვეტილი ჰქონდა რა კინოდან წასვლა, კუსტურიცამ დაიწყო მუშაობა გერმანიის ტელევიზიაში, სადაც პატარა პროექტს აკეთებდა ბოშურ მუსიკაზე, სახელწოდებით „მუსიკა აკრობატიკა“, თუმცა მისი ეს ახირება 1998 წელს ფილმად „თეთრი კატა, შავი კატა“ გადაიზარდა. ეს სურათი იყო ამავე წლის ვენეციის კინოფესტივალის ფავორიტი, თუმცა მთავარი ჯილდო ვერ დაიმსახურა, მხოლოდ ჟიურის პრიზს დასჯერდა – საუკეთესო რეჟისურაში. კუსტურიცამ ბრეგოვიჩთან ურთიერთობა „იატაკევეშის“ შემდეგ შეწყვიტა, მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერვიუში ბრეგოვიჩი მას დიქტატორად მოიხსენიებს, ხოლო „შავი კატა თეთრი კატას“ საუნდტრეკი კუსტას ძველმა მეგობარმა ნელე კარაილიჩმა დაწერა, ასევე ამ ფილმთან დაკავშირებით კარაილიჩმა განაახლა ძველი ჯგუფი „Zabranjeno Pušenje“ ახალი სახელით „The No Smoking Orchestra“ ძველ მეგობრებს ემირ კუსტურიცაც შეუერთდა, ხანგრძლივი შესვენების განმავლობაში იგი მხოლოდ მუსიკით იყო დაკავებული, ჯგუფში დასარტყამ ინსტრუ-

მენტებზე მისი შვილი სტრიბორ კუსტურიცა უკრავდა, 2001 წელს რეჟისორმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „8 სუპერ ამბავი“, რომელიც ჯგუფის „The No Smoking Orchestra“ შესახებ მოგვითხრობს.

2004 წელს ეკრანზე გამოვიდა კუსტურიცას ახალი ფილმი „ცხოვრება სასწაული“ ფილმი ისევე ბალკანურ კონფლიქტს ეხება, თუმცა რეჟისორი თავის ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამ ფილმში ომი მხოლოდ ფონია, ხოლო კონფლიქტის ზონაში გაჩენილი სიყვარულის ამბავი, ცხოვრება რომ სასწაულია ამ აზრს ატარებს, ის ამბობს, რომ ომი პირობითია და მნიშვნელობა არ აქვს ბალკანეთში იქნება თუ ლაზას სექტორში. სწორედ ეს მეტაფორული გადმოცემა იქცა ამ ბოლო პერიოდის რეალისტური სამყაროს და კინემატოგრაფის მხრიდან კუსტურიცას კრიტიკის მიზეზი, თუმცა ფედერიკო ფელინი ადამიანის აზროვნების მწვერვალად ფანტაზიას მიიჩნევდა.

2005 წელს კუსტურიცა კანის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარედ მიიწვიეს. ამ წელს ოქროს პალმის რტო ძმები დარდანების სოციალურ დრამას „ბავშვი“ გადაეცა. ამავე წელს კუსტურიცამ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო რეჟისორების კინო აღმანახში „უხილავი ბავშვები“.

მეორე სრულმეტრაჟიანი ფილმი „ანდერძი“ რომელიც კუსტურიცამ 2007 წელს გადაიღო, იყო ერთადერთი ფილმი მის შემოქმედებაში, რომელიც კანის კინოფესტივალზე წარადგინეს და იქედან ჯილდოს გარეშე დაბრუნდა. ამავე წელს მან დადგა პანკ ოპერა: „ბოშათა ჟამი“ ამავე სახელწოდების ფილმის მიხედვით.

2008 წელს კანის კინოფესტივალზე მისი დოკუმენტური ფილმის „მარადონას“ პრემიერა შედგა. ფილმი ცნობილი ფეხბურთელის დიეგო მარადონას ცხოვრებაზეა, თუმცა ასევე მკაფიო ანტი დასავლურ პოლიტიკას ატარებს და კარგად ჩანს როგორც მარადონას, ასევე ავტორის მემამბოხე პოზიცია დღევანდელი გლობალური პოლიტიკისადმი, ამ ფილმში კუსტურიცა კინოსამყაროს მარადონადაა მოხსენიებული.

2005 წელს კუსტურიცამ მართლმადიდებლობა მიიღო, ამბობს რომ მისი წინაპრები მართლმადიდებელი სერბები იყვნენ და ამით ემირი წინაპართა წესს დაუბრუნდა, ფიქრობს რომ მართლმადიდებელი უნდა ცდილობდეს სამყარო ჰარმონიული გახადოს, სწორედ ესაა მისი კინემატოგრაფიული კრედიტ. კუსტურიცა ადამიანია რომელიც თავისი ჰუმანურობის გამო ბავშვური ზღაპრების წლებში დარჩა, ხოლო მისი ბავშვობის ნოსტალგია იუგოსლავიაა, ქვეყანა რომელიც აღარ არსებობს, ის თავისთავს არარსებული იუგოსლავიის მოქალაქედ ასახელებს, ხოლო თავის შეხედულებებს ზღაპრებად უზიარებს თანამედროვე მსოფლიოს, მხილებანი ქვეყნის თუ ადამიანების ნაკლოვანებისა კათარზისისკენაა მიმართული და ავტორის ირონია პირველ რიგში თვითირონიაა. ემირ კუსტურიცამ შექმნა სამყარო, რომელიც ღირსია არსებობდეს.

ამირან დოლიკა  
მაგისტრატურის II კურსი

